საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

დიზაინი

გამომცემელი:
სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“
3300, მცხეთა, საქართველო, ანტიოქიის ქ. №5
ტელ.: +995 32 2252533; ელ. ფოსტა: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge
https://facebook.com/sakpatenti.ge/

საავტორო უფლება © საქპატენტი 2016
ყველა უფლება დაცულია

რა არის დიზაინი?

მთლიანი პროდუქტის ან მისი ნაწილის გამოხატულება, რომელიც გამომდინარეობს თვით პროდუქტის ნიშნების, მათ შორის, ხაზების, კონტურების, ფერების, ფორმის, ტექსტურის და/ან მასალისაგან, ან პროდუქტის მორთვისაგან. პროდუქტად კი მიიჩნევა ნებისმიერი სამრეწველო ან ხელნაკეთი საგანი, მათ შორის, საფუთავი, გაფორმება, გრაფიკული სიმბოლოები და ტიპოგრაფიული შრიფტები და შედგენილ პროდუქტში ჩასართავად განკუთვნილი შემადგენელი ნაწილები, კომ-პიუტერული პროგრამების გარდა.
შედგენილი პროდუქტი არის პროდუქტი, რომელიც შედგება მრავალი შემადგენელი ნაწილისაგან, რომელთა შეცვლა შესაძლებელია პროდუქტის დაშლითა და ხელმეორედ აწყობით.

რა განსაზღვრავს დიზაინის დაცვის ფარგლებს?

- გამოსახულება;
- დაცვის ფარგლები მოიცავს ნებისმიერ დიზაინს, რომელიც ინფორმირებულ მომხმარებელზე არ ახდენს განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას. ამასთან, გაითვალისწინება დიზაი-ნერის თავისუფლების ხარისხი დიზაინის შექმნისას;
- დაცვა არ ვრცელდება დიზაინში ჩართულ სიტყვაზე ან სიტყვათა წყობაზე;
- დიზაინი, რომელიც არ არის რეგისტრირებული საქპატენტში ან რომელზეც არ ვრცელდება საერთაშორისო რეგისტრაცია, დაცულია "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

როგორი დიზაინი ექვემდებარება დაცვას?

დიზაინი, რომელსაც აქვს სიახლე და ინდივიდუალურია.
სიახლეა – თუ განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღამდე არც ერთი მისი იდენტური დიზაინი არ გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი.
ინდივიდუალურია – თუ საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ის ახდენს ინფორმირებულ მომხმარებელზე, განსხვავდება სა-ერთო შთაბეჭდილებისაგან, რომელსაც ახდენს იმავე მომ-ხმარებელზე სხვა დიზაინი, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღამდე. შეფასებისას მხედველობაში მიიღება დიზაინერის თავისუფლების ხარისხი დიზაინის შექმნისას.

THE C-THREE® RULER COMPANY
JR-18

როგორი დიზაინი არ რეგისტრირდება?

დიზაინი რომელიც:

- არ წარმოადგენს დიზაინს, დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად;
- იდენტურია ადრინდელი დიზაინისა, რომელიც წარდგენილია საქპატენტში ან რეგისტრირებულია საერთაშორისო ბიუროში საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა აღნიშნული განაცხადის შეტანამდე ან პრიორიტეტის თარიღამდე;
- იდენტურია ადრინდელი დიზაინისა, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა განაცხადის შეტანის ან პრიორიტეტის თარიღის შემდეგ, მაგრამ წარდგენილია საქპატენტში ან რეგისტრირებულია საერთაშორისო ბიუროში საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით ზემო-აღნიშნულ თარიღამდე;
- ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს;
- მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის ანდა უცხო ქვეყნის სახელმწიფო გერბს, დროშას, ფულის ნიშანს, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას, ამასთანავე, არ არსებობს კომპეტენტური უწყების თანხმობა მისი გამოყენების თაობაზე;
- მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა საერთაშორისო ორგანიზაციის გერბს, დროშას, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას, ეს გარემოება ცხადია ექსპერტისათვის, ამასთანავე, არ არსებობს ამ ორგანიზაციის თანხმობა მისი გამოყენების თაობაზე;
- დიზაინად ან მის შემადგენელ ელემენტად გამოსახულია საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა, რომელსაც ადგილობრივი რეგისტრაციის, ორმ-ხრივი ან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე მინიჭებული აქვს დაცვა საქართველოს ტერიტორიაზე.

რა არის პრიორიტეტი და რა თარიღით ხდება მისი დადგენა?

უპირატესობა, რომელიც აქვს განაცხადს მასზე გვიან შეტანილ განაცხადთან შედარებით. პრიორიტეტი აითვლება რეგისტრაციისათვის სწორად გაფორმებული განაცხადის შეტანის თარიღიდან. ამ თარიღის შემდგომ საჯაროდ გამხდარი ინფორმაცია სიახლის გასაბათილებლად მხედველობაში არ მიიღება.

პარიზის კონვენციის ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრი ქვეყნების მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ საკონვენციო პრიორიტეტით. საკონვენციო პრიორიტეტი წარმოიშობა, თუ განმცხადებელი თავის ქვეყანაში სწორად გაფორმებული განაცხადის შეტანიდან 6 თვის განმავლობაში ანალოგიურ განაცხადს წარადგენს სხვა ქვეყანაში. პარიზის კონვენციის თანახმად, მსგავსი პრიორიტეტით სარგებლობა შეუძლია განმცხადებელს, თუ განაცხადის მიწოდებამდე დიზაინს გამოფენს პარიზის კონვენციის ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნის საერთაშორისო ოფიციალურ გამოფენაზე და გამოფენის გახსნიდან 6 თვის ვადაში წარადგენს ამ დიზაინის განაცხადს სარეგისტრაციოდ.

რა უფლებებს ანიჭებს დიზაინის რეგისტრაცია მის მფლობელს?

უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს იმ პროდუქტის, რომელშიც ჩართულია დიზაინი, ან რომლისთვისაც ის გამოიყენება, დამზადება, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი, ექსპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა და აღნიშნული მიზნებისათვის მისი შენახვა.

როგორ შეიძლება რეგისტრირებული დიზაინის განკარგვა?

მფლობელ(ებ)ს აქვს უფლება:

- გაყიდოს ან სხვა გზით გაასხვისოს დიზაინი;
- დადგენილი წესით გასცეს კერძო ლიცენზია მის გამოყენებაზე;
- თუ დიზაინის მფლობელი რამდენიმე პირია, თითოეულ მფლობელს უფლება აქვს გამოიყენოს იგი საკუთარ წარმოებაში სხვა მფლობელთა თანხმობის გარეშე, ხოლო უფლების გადაცემა ან კერძო ლიცენზიის გაცემა ნებადართულია მხოლოდ ყველა მფლობელის თანხმობით.

იზღუდება თუ არა რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებები?

დარღვევად არ მიიჩნევა:

- მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით დამზადებული პროდუქტის, რომელშიც ჩართულია დიზაინი, ან რომლისთვისაც ის გამოიყენება, სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შემდგომ გავრცელება ან სხვაგვარად გამოყენება;
- გამოყენება პირადი სარგებლობისათვის, როდესაც ამგვარი ქმედება არ ისახავს კომერციულ მიზნებს;
- გამოყენება ექსპერიმენტული მიზნებისათვის;
- ასლის გადაღება, რომელიც სრულდება ციტირების ან სწავლების მიზნით იმ პირობით, რომ ამგვარი გადაღება არ წარმოადგენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას და ზიანს არ აყენებს დიზაინის ჩვეულებრივ გამოყენებას და რომ მითითება ხდება წყაროზე;

- გამოყენება რომელიმე ქვეყნის საზღვაო ხომალდზე, საფრენ ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაზე, მათი საქართველოს ტერიტორიაზე დროებით ყოფნის დროს. ასეთ შემთხვევაში დიზაინი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ამგვარ სატრანსპორტო საშუალებაზე და არა მეწარმეობისათვის;
- გამოყენება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაუძლეველი ძალის შემთხვევაში (ფორსმაჟორი).

როგორია დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების მოქმედების ვადა და ფარგლები?

ვადა განისაზღვრება 5 წლით, განაცხადის საქპატენტში შეტანის თარიღიდან და შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი 5 წლით, არა უმეტეს 25 წლისა. ვრცელდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.
განსაკუთრებული უფლებები წარმოიშობა საქპატენტში რეგისტრაციის შემთხვევაში განაცხადის შეტანის თარიღიდან, ასევე, ჰააგის შეთანხმების საფუძველზე საერთაშორისო რეგისტრაციის საქართველოში გავრცელების გზით.

ვის აქვს დიზაინის რეგისტრაციის უფლება?

დიზაინერს ან მის უფლებამონაცვლეს, მაგრამ:
- რამდენიმე პირის მიერ შექმნილ დიზაინზე განაცხადის შეტანის უფლება ეკუთვნის როგორც ყველა დიზაინერს ერთობლივად, ასევე ცალკეულ მათგანს, სხვა თანადიზაინერების წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- დასაქმებულის ან შეკვეთის მიმღების მიერ შექმნილ დიზაინზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებასთან დიზაინის რეგისტრაციისათვის განაცხადის შეტანის უფლება ეკუთვნის დამსაქმებელს/შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- თუ დიზაინის შექმნა დაკავშირებული არ არის დასაქმებულის ან/და შეკვეთის მიმღების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის

ან შეკვეთის შესრულებასთან, მაგრამ დასაქმებულმა/შეკვეთის მიმღებმა დიზაინის შესაქმნელად გამოიყენა დამსაქმებლის/შემკვეთის მფლობელობაში არსებული რესურსი, დიზაინის რეგისტრაციის უფლება ეკუთვნის დამსაქმებელს/შემკვეთს.

რა არის საჭირო საქართველოში დიზაინის რეგისტრაციისათვის?

განაცხადი წარდგენილი უნდა იქნას საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტში", და უნდა შეიცავდეს:

- დადგენილი ფორმით შედგენილ განცხადებას დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე;
- დიზაინის გამოსახულებას;
- უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელ საბუთს, თუ განმცხადებელი დიზაინერის უფლებამონაცვლეა; მაგრამ თუ დიზაინის შექმნა დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობების და/ან შეკვეთის შესრულებასთან, განმცხადებელი არის დამსაქმებელი და/ან შემკვეთი და განცხადების ბლანკში ის ამის შესახებ შესაბამის აღნიშვნას გააკეთებს, ექსპერტიზა არ არის ვალდებული მოითხოვოს შეთანხმება განმცხადებელსა და დიზაინერს შორის;
- წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელ საბუთს, თუ განაცხადი წარადგინა განმცხადებლის წარმომადგენელმა.

განაცხადი დამატებით შეიძლება შეიცავდეს:

- აღწერილობას, რომელიც ატარებს მხოლოდ განმარტებით ხასიათს. იგი შეიძლება სიტყვიერად აღწერდეს დიზაინის გამოსახულებას და გამოსახულების ნიშნების თავისებურებებს;
- საპრიორიტეტო საბუთს, თუ მოითხოვება საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტი.

განაცხადი შეიძლება შეიცავდეს ერთ ან რამდენიმე დიზაინს, მაგრამ არა უმეტეს ასისა (მრავლობითი განაცხადი) იმ პირობით, რომ დიზაინები, რომლებიც მოცემულია მრავლობით განაცხადში, უნდა მიეკუთვნებოდეს დიზაინების საერთაშორისო

კლასიფიკაციის ერთ კლასს. მრავლობით განაცხადში შემავალი თითოეული დიზაინი განიხილება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და წარმოადგენს დამოუკიდებელი დაცვის საგანს.

რა ენაზე უნდა იყოს შედგენილი განაცხადი?

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ – „საქპატენტში“ განცხადება მიიღება საქართველოს სახელმწიფო ენაზე. სხვა საგანაცხადო მასალების წარდგენა შესაძლებელია ნებისმიერ ენაზე. ამასთან საგანაცხადო მასალების სხვა ენაზე წარდგენის შემთხვევაში, განმცხადებელმა განაცხადის შეტანიდან ორი თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს სათანადოდ დამოწმებული ქართული თარგმანის წარდგენა.

რა პროცედურებს ითვალისწინებს დიზაინის რეგისტრაცია?

- განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურებას განაცხადის შეტანიდან ორი კვირის განმავლობაში;
- ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის ჩატარებას განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, რომელიც ითვალისწინებს საგანაცხადო მასალების სისრულისა და გაფორმების სისწორის შემოწმებას;
- არსობრივი ექსპერტიზების ჩატარებას ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულებიდან სამი თვის ვადაში, რომლის დროს მოწმდება რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობა და ტარდება ძიება სიახლის დასადგენად დიზაინების მონაცემთა ბაზაში. არსობრივი ექსპერტიზის საფუძველზე, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას დიზაინის რეგისტრაციის ან დიზაინის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ;
- დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ერთი თვის ვადაში დიზაინისა და განაცხადის მონაცემების გამოქვეყნებას სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში. თუ გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში არ შევიდა სააპელაციო საჩივარი, ან ერთი თვის ვადაში სასამართლოში სარჩელი დიზაინის

რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, დიზაინი რეგისტრირდება, მონაცემები ქვეყნდება ბიულეტენში და ერთი თვის ვადაში გაიცემა მოწმობა;

- ექსპერტიზის დროს საქპატენტი უფლებამოსილია განმცხადებლისგან მოითხოვოს მასალები, რომლის გარეშეც შეუძლებელია საქმისწარმოების გაგრძელება, ამ მასალების წარმოუდგენლობის შემთხვევაში განაცხადზე საქმისწარმოება შეწყდება;
- განმცხადებელს განაცხადის შეტანისას ან განაცხადის შეტანიდან ერთი თვის ვადაში შეუძლია მოითხოვოს განაცხადზე დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარება. ამ შემთხვევაში, განაცხადს შეტანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში უდასტურდება შეტანის თარიღი და სრულდება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა, თუ განაცხადი წარდგენილია კანონისა და ინსტრუქციით დადგენილი წესების დაცვით და გადახდილია დაჩქარებული რეგისტრაციისათვის დადგენილი საფასური. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში განაცხადს უტარდება არსობრივი ექსპერტიზა და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დიზაინი რეგისტრირდება საქპატენტის სამრეწველო საკუთრების რეესტრში, მისი მონაცემები ქვეყნდება ბიულეტენში და გაიცემა მოწმობა დიზაინის რეგისტრაციის შესახებ;
- დიზაინის რეგისტრაციის შესახებ მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება სააპელაციო პალატაში შეიტანოს სააპელაციო საჩივარი ან ერთი თვის ვადაში სასამართლოში სარჩელი რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით.

რისი უფლება აქვს განმცხადებელს?

- გააერთიანოს განაცხადები და წარადგინოს გაერთიანებული განაცხადი, თუ მასში შემავალი დიზაინები მიეკუთვნება დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაციის ერთ კლასს (გაერთიანებული განაცხადი);

- დაყოს წარდგენილი განაცხადი ცალკეულ განაცხადებად (გამოცალკევებული განაცხადი);
- გაერთიანებული ან გაყოფილი განაცხადის წარდგენა ან განაცხადში ცვლილების შეტანა შესაძლებელია დიზაინის რეგისტრაციამდე, თუ აღნიშნული ქმედებით არ იცვლება დიზაინის დაცვის ფარგლები. ამასთან, ცვლილებები, რომლებიც ეხება დიზაინის გამოსახულებას, დასახელებას და აღწერილობას, დასაშვებია ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულებამდე, ხოლო ცვლილებების შეტანა, რომელიც ეხება განმცხადებლის, დიზაინერის ან წარმომადგენლის სახელსა და მისამართს, დასაშვებია დიზაინის რეგისტრაციამდე;
- გამოითხოვოს/შეაჩეროს განაცხადის განხილვა;
- მოითხოვოს საქპატენტის მიერ გაგზავნილ მოთხოვნაზე დამატებითი მასალის წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის გაგრძელება ერთი თვით;
- მოითხოვოს ვადების დარღვევის გამო განაცხადთან დაკავშირებული დაკარგული უფლებების აღდგენა.



რა არის დიზაინის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი? დიზაინის რეგისტრაციას აუქმებს საქპატენტი:

- დიზაინის მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე;
- თუ რეგისტრაცია განხორციელდა დაჩქარებული წესით და რეგისტრაციის შემდეგ საქპატენტში შეიტანეს უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადი, რომელიც იდენტურია დაჩქარებული წესით რეგისტრირებული დიზაინისა;
- მფლობელის მიერ რეგისტრაციის მოქმედების გაგრძელების საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო. მაგრამ რეგისტრაცია გაუქმებულად არ მიიჩნევა, თუ მფლობელი რეგისტრაციის მოქმედების ვადის ამოწურვიდან 6 თვეში გადაიხდის დიზაინის აღდგენისა და შემდგომი პერიოდისათვის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასურს.

რა შემთხვევაში ხდება რეგისტრაციის ბათილად ცნობა?

დიზაინის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო, თუ დადგინდა, რომ:

- წარმოდგენილია მხოლოდ იმ ნიშნებით, რომლებიც განპირობებულია მხოლოდ მათი ტექნიკური ფუნქციით;
- არ წარმოადგენს დიზაინს, „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად;
- არ აკმაყოფილებს დაცვის მოთხოვნებს;
- განმცხადებელი ან მფლობელი არ იყო უფლებამოსილი პირი დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- შეიცავს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულ ნაწარმოებს;
- მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა საქართველოში რეგისტრირებულ, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშანს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დიზაინის რეგისტრაცია

მოთხოვნილია ამ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელის მიერ;

- მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საყოველთაოდ ცნობილ ნიშნად აღიარებულ ნიშანს;
- მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა საერთაშორისო ან სამთავრობათშორისო ორგანიზაციის ემბლემას, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას, ოფიციალურ საკონტროლო, საგარანტიო, სასინჯო დამღას, ბეჭედს, ორდენსა და მედალს, საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის ისტორიულ დასახელებას, გერბს, დროშას ემბლემას, ფულის ნიშანს ან წარმოადგენს აღნიშნული სიმბოლოების იმიტაციას და არ არსებობს თანხმობა მათი გამოყენების თაობაზე;
- რეგისტრაცია განხორციელდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით.

რა საფასურები უნდა იყოს გადახდილი დიზაინის რეგისტრაციისა და ძალაში შენარჩუნებისათვის?

- ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასური;
- არსობრივი ექსპერტიზის საფასური;
- გამოქვეყნების საფასური;
- რეგისტრაციის საფასური;
- ყოველი 5 წლით ძალაში შენარჩუნების საფასურები;
- საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნის, განაცხადის მასალებში ცვლილებების შეტანის, განაცხადის განხილვის შეჩერების, შეტყობინება-მოთხოვნაზე პასუხის წარდგენის ვადის გაგრძელების, რეესტრში ცვლილების შეტანის, საქმისწარმოების აღდგენისა და სხვა ქმედებებისათვის განსაზღვრული საფასურები.

როგორ უნდა დაარეგისტრიროს საქართველოს მოქალაქემ ან რეზიდენტმა პირმა (იურიდიული ან ფიზიკური პირი) დიზაინი საზღვარგარეთ?

- განაცხადი შეიტანოს უშუალოდ იმ ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში, სადაც სურს განსაკუთრებული უფლებების მოპოვება;
- განაცხადი წარადგინოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროში, დიზაინების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ჰააგის შეთანმხმების საფუძველზე და მიუთითოს ის მონაწილე მხარეები, სადაც სურს უფლებების გავრცელება.



რა არეგულირებს დიზაინის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ უფლებებს საქართველოში?

- „საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ“;
- „დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 14 დეკემბრის N3 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N182 დადგენილება;
- სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია;
- დიზაინების საერთაშორისო რეგისტრაციის ჰაგის შეთანხმება;
- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმება „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმება;
- საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189^1-ე მუხლი.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის – „საქპატენტი“ პოლიგრაფია
0179, თბილისი, საქართველო, ნ. რამიშვილის ქ. №31
ტელ.: +995 32 2252533, info@sakpatenti.org.ge

ISBN 978-9941-0-1056-9